დანართი1

სდასუ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

07.03.2024წ

სსსმ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკა

1. რეგულირების სფერო და მიზნები

1.1. აღნიშნული პოლიტიკა არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების წესს .

2. პოლიტიკის მიზანი და ამოცანები

2.1. მოცემული პოლიტიკის მიზანია უნივერსიტეტში სსსმ სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს ეფექტინი, უწყვეტი და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი.

2.2. პოლიტიკის ამოცანებია:

- ✓ სსსმ სტუდენტების საჭიროების დროულად განსაზღვრა, სრულყოფილი საგანმანათლებლ პროცესის განსახორციელებლად;
- ✓ საჭიროების იდენტიფიცირების შემდეგ საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად განსახორციელებლად შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიონალების ჩართულობა;
- ✓ სსსმ სტუდენტისთვის აუცილებელი ადამიანური, ტექნოლოგიური, მატერიალური რესურსების არსებობა.

3. სსსმ სტუდენტებ ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში

3.1. სასწავლო წლის დასაწყისში, სსსმ სტუდენტი ვალდებულია მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რეგისტრაციის ვადებში და მოითხოვოს საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა შეფერხების გარეშე.

3.2. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ სტუდენტისთვის აუცილებელი ადამიანური, ტექნოლოგიური, მატერიალური რესურსების მობილიზებას;

3.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად სწავლობს სსსმ სტუდენტის საჭიროებებს, აანალიზებს სიტუაციას და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს რეკომენდაციას აღმოჩენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად მცირე დროში, მაღალი ეფექტით;

3.4. სსსმ სტუდენტის მიერ დაფიქსირებულ პრობლემებს განიხილავს უნივერსიტეტის რექტორი.

4. სსსმ სტუდენტის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში

4.1. სასწავლო ცხრილს დეკანი ადგენს სსსმ სტუდენტის მიმდინარე საჭიროების მიხედვით;

4.2. სსსმ სტუდენტი ფაკულტეტიდან იღებს აუცილებელ ინფორმაციას და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

4.3. სსსმ სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია მისი სპეციალური მოთხოვნები და საჭიროებები, სწავლა-სწავლების, შეფასების, სასწავლო პროცესის წესის, საგანმანათლებლო რესურსების და სხვ. მიმართულებით, მისთვის სრულყოფილი მომსახურების გასაწევად.

4.4. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სტუდენტი, ფაკულტეტის დეკანი.

4.5. სტუდენტური სერვისცენტრი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო საგანმანათლებლო პროცესითა და საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსებით.

5. სსსმ სტუდენტის შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა

5.1. სსსმ და შშმ სტუდენტების სრულყოფილი საგანმანათლებლო პროცესების წარმართვის მიზნით, უნივერსიტეტი, უზრუნველყოფს შენობასა და მის ეზოში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას.

5.2. უნივერსიტეტის დაცვის და უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია სსსმ სტუდენტებს აღმოუჩინოს დახმარება, უნივერსიტეტის შენობაში შეუფერხებელი გადაადგილების კუთხით